№ 56
# სახალხო გაზეთი
№ 56

ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

სვით მხოლოდ ნადუღი წყალი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆
◆ **დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * ***ხელის-მომწერთა საყურადღებოდ*** * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ს გურჯაანი
შაბათს, 17 ივლისს 1910 წელს.
გურჯაანის სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება მხიარული
საღამო-არიფანა
ცრავალის გასართობებით, სხვათა შორის გამოჩენილი **შანტეკლერი**, და დიდის დივერტისმენტით, წარმოადგენს ქავქავაძის „**დედა და შვილს**". დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი. ბუფეტი და ბოლოს ვახშამი.

მონაწილეობენ: **სარაჯიშვილი, აბაშიძე, ჯიბლაძე, ჯავახიშვილი, აბდუშელი, კარბელაშვილი, ზუმბულიძე და სხვ.**

ფასები—1 მან.—50 კ.-მდის ბავშვებისთვის 50 კაპ.

დიასახლისი **კნ. დარია ანდრონიკაშვილისა.**

გამგე **ექიმი დიმიტრი ჯაბახიშვილი.**

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი
„ერი და კაცობრიობა"
კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—18)

◀ წევაში ▶
(შორაპნის მაზრა)
წელს 15 ივლისიდან ჩვეულებისამებრ განახლდა სახალხო
═ იარმუკა ═
(3—ფ.—2)

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს
ივნისის ნომერი
◆ **ჟურნალ** ◆
„განათლებისა"
შემდეგის შინაარსით: 1. მზიანი ზკოლა (ა. დაუბე) ლ. ბოცვაძისა. 2. სახალხო განათლების საქმე საქართველოში—**კახაბერიძისა.** 3. საუნჯე (ლექსი) **აკაკისა.** 4. სიმართლისკენ (სპარსული ზღაპარი მეგენიევისა) **განწირულისა.** 5. მეგრული ნანა (ლექსი) **მელიტონ გოგეჩიასი.** 6. გამოუთქმელი სიჩუმე **ცქვიტისა.** 7. აკაკის („გადარჩეულების" გამო) ლექსი **ლადო გეგეჭკორისა.** 8. სამშობლოს შესწავლის, გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისთვის. 9. პედაგოგიის ისტორია დ-რ **ვაიმერისა.** 10. პროცესი გერმანელ პედაგოგის შარრელმანისა. **Ratti**-სა. 11. მინაური მიმოხილვა—რა უნდა აკეთონ ზაფხულობით მასწავლებლებმა. **ლას-ბანისა** 12. მიწერილი ამბები—ზონიდან **აქილევსისა,** პეტერბურგიდან **ლადო გეგეჭკორისა.** 13. ბიბლიოგრაფია—„რას გვიამბობს ოთახი" **განისა.** 14. ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან—ელექტრონობა ბიბლიაში. 15. როდესაც ვიფრენთ (გერმანულიდან) **ივ. ყიფშიძისა.** და სხ. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებლებისათვის 2 მანეთი.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. ВОЦВАДЗЕ. რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე
(„ნაკადულის" პრემია).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

ტფილისის კერძო სამკურნალო
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. ლ.: შინ. და ბავშვ. ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ[illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10\frac{1}{2}$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ზაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირსდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—226)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.

ი. ვ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—387)

კაბინეტი
ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—107)

ექიმი
ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—ნ.—20

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

ექიმი
გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6\frac{1}{2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—22)

ექიმი
აბასთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—18)

ექიმი
ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—226)

ექიმი
ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—166

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი
კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი
შ ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$ საათამდის კახეთის ქ ტელეფონი N 816.

ექიმი
ვ. ღამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9\frac{1}{2}$-დან 5 ს.-დე.

სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1\frac{1}{2}$—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12\frac{1}{2}$ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10\frac{1}{2}$—$11\frac{1}{2}$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—70)

ზემო ავჭალაში
იძლევა აგარაკი ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

დეპეშები
პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან,
13 ივლისი.
საზღვარ გარედ.

პარიზი. ბარცელონიდან დეპეშით იტყობინებიან რომ მაურას მოკვლის გამზრახველი შეეცადა თავის მოკვლას. გამომძიებელთან ჩვენების ჩამორთმევის დროს დაუვლია ხელი მაკრატელისათვის და ყელი გაუჭრია.

ბერლინი. ცეპელინის ც. 3 ქვეყნების ექსპედიციას განუზრახავს ერთი თვით ადრე დაბრუნდეს ტრამზეში. უეჭველია ყინულებმა შეუშალეს ხელი. მოგზაურობას გრენლანდიის ნაპირებისაკენ წასვლა არ მოხერხდება. „მაინელი" და „ფენიპსი" გაჩერებულნი არიან კრისბაიაში, შპიცბერგენზე. მართალი არაა ის ცნობა, თითქო „მაინელი" ყინულებმა ჩასჭედესო.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ რუსეთ ჩიეთის ბანკის სააგენტოში შემოწმების დროს აღმოჩდა ნახევარ მილიონი დოლარის ობლიგაციების დანაკლისი. კასირი ვიდერი გამოტყდა, მე გავფლანგე სპეკულიაციაზეო.

ნიუ-იორკიდან ატყობინებენ ფულიფ ბიუროს, ბლიუფინდოსიდან ცნობები მივიღეთ, რომ გენერალ ესტრადის მომხრეებმა დაამარცხეს პრეზიდენტ მადრისი' ჯარი. თითონ მადრისი გაიქცა ბრძოლის ველიდგან და მიატოვა დიდებული დაჭრილი და მოკლული.

ბუხარესტი. მთავრობა, ქალაქი და ბუხარესტის სტუდენტობა ემზადება სტამბოლიდან მომავალ ახალგაზრდა ოსმალთა „ერთობისა და პროგრესის" პარტიის კომიტეტის წევრთა შესახვედრად. კომიტეტთან ერთად არიან ოსმალეთის სტუდენტობა, რომელნიც უნდა მიესალმონ რუმინელ კოლეგებს.

პარიზი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ გენერალურ საბჭოს არჩევნებში იგივე შედეგები იყო, როგორც დეპუტატთა პალატის არჩევნებში. გავიდნენ რესპუბლიკელნი და რადიკალურ პარტიის მომხრენი.

ტოკიო. დაიღუპა გემი „ტაცურეიმარუ" რომელიც მიდი-მოდიოდა დალნისა და კობეს შუა. გემი დაიღუპა კვირას ღამე კორეის ახლო ჩინდოში. დაიხრჩო 236 მგზავრი, 39 გადაარჩინეს დანარჩენთა საშველად გაემართენ სამხედრო გემები.

მილონი. ქარბუქის დროს საერთოდ დაიღუპა 50 კაცი, მძიმედ და მსუბუქად დაიჭრა რამდენიმე ასი კაცი.

სტამბოლი. ოსმალეთ-გერმანიის შეთანხმებაზე გავრცელებულ ხმების შესახებ ტანინი სწერს: ოსმალეთი არას დროს მონურად არ დაემორჩილება რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოთა კავშირს, გაალონიერებს რა თავის ძალას, ოსმალეთი დამოუკიდებელ მდგომარეობას დაიჭერს.

პეკინი. გაზეთების ცნობით ჩინეთის მთავრობას განზრახვა აქვს ას-ასი ახალგაზრდა ჩინელი გაგზავნოს ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიაში საზღვაო საქმის შესასწავლად. იმავე ცნობით, ქვრივ დედოფლის დიდი ქონება ჩინეთის ფლოტის ასაგებად იქნება გადადებული.

ყოვლადვე საფუძველს მოკლებულია ის ხმები, ვითომ მოსაზღვრე ადგილებიდან ჩინეთის მთავრობა ასახლებდეს რუსის ქვეშევრდომთ.

ჰაერში ფრენა.

გატჩინა. ჰაერში მფრენავი ლებედევი რამდენჯერმე კარგად აფრინდა ჰაერში, რომლისაც ჰაერი ღელავდა. საღამოთი აფრინდა 25 საჟენის სიმაღლეზე მგზავრით, დაჰყო ჰაერში 45 წუთს და შიილო სრულიად რუსეთის პრიზი.

ოდესსა. უტოჩკინი ექვს ჯერ აფრინდა ფერმანისა და ავიატიკის აპარატებით. ორჯელ მგზავრით აფრინდა და ავიდა 30 საჟენის სიმაღლეზე.

ნოვოჩერკასკი. ვერხნეჩირის სტანიცაში დონის პირად იპოვნეს მამონტის ძვლები. შეუდგებიან ახლო-მახლო ადგილების გადათხრას

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში წინადადება შეიტანა ნაკლები პროცენტით მიეცეთ სესხი სახელმწიფო ბანკიდან საგუბერნიო ერობებს. დასაზღვევ ოპერაციებისთვის დასახმარებლად უნდა დაწესდეს წლიური პროცენტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა გადაშინჯოს წესდება შესახებ ქალაქების დამოკიდებულებისა პოლიციის შენახვასთან და ამ მიზნით მიმართა საგუბერნიო სამმართველოებს სწორე ცნობები წარუდგინონ სამინისტროს იმის შესახებ, თუ რამდენსა ხარჯავს ქალაქი პოლიციის შესანახავად.

რუსეთი

კიევი. დახურეს სასოფლო მეურნეობაში მომუშავეთა პროფესიონალური საზოგადოება. მიზეზი წესდების დარღვევაა.

ტულა. მოვიდა გამიჯვნის ნაწილის მაურავი ჩაპლინი, რომელსაც დავალებული აქვს რევიზია მოახდინოს გუბერნიის გამიჯვნის საქმეებისა.

პოლტავა. ძლიერ ქარის დროს დაიწვა 121 სახლი, ლუდის საწყობი და სხვა და სხვა შენობები ლუდის სახდელ ქარხნისა.

ეკატერინობურგი. საუწყებათაშორის საბჭომ მოისმინა მოხსენება კინოვას ქარხანაში შინამრეწველობის საქმის მდგომარეობის შესახებ და დაადგინა დაარსდეს საჩვენებელი სახელოსნო და შინამრეწველობის ნაწარმოებთა საწყობი. ამასთან დაადგინა იშუამდგომლოს მიწადმოქმედების მთავარგამგეობის წინაშე გადასდოს 10.000 მანეთი ერთდროულად დასახმარებლად და 12.000 მანეთი სესხად საწყობის მოსაწყობად.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერით ავადმყოფთა შესახებ სააგენტო იტყობინება: შლისელბურგის მაზრა ხოლერის მხრით არა საიმედოდ გამოაცხადეს, ხოლო ლადოგის ტბის არხები საშიშოდ. პეტერბურგში ავად 54, გარდაიცვალა 24, მორჩა 6, ავად არის 234. კვირის განმავლობაში სტავროპოლში (გუბ.) ავად გახდა 45, მორჩა 9, გარდაიცვალა 16, ციმბირის გუბერნიაში ავად გახდა 105 მორჩა 5, გარდაიცვალა 47, ბერდინსკში 11 დღის შემდეგ კიდევ ავად გახდა 2, ბერდიანის მაზრაში აღმოაჩინეს 4 ხოლერიანი. ყარსში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 5, ყარსის ოლქში ავად გახდა და მოკვდა 3. მდინარე კარსჩაეში ხოლერის ვიბრიონები აღმჩნდა. ქერჩში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13, არმავირში ავადმყოფების რიცხვი კლებულობს. მოსკოვში ავად არის 3, რომლებიდანაც ორი მოყვანილია ქალაქ გარედან. რომერსკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, სევასტოპოლში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, ნიკოლაევში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 4, არმავირში ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 40, გარდაიცვალა 19.

იმის გამო რომ ხარკოვში და დონეცის მიდამოებში ხოლერა ძალიან გავრცელდა მადნების მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ ვაჭრობის მინისტრს დეპეშით სთხოვა ნება მიეცით სამხედრო ფერშლებს შევიდნენ ხოლერასთან მებრძოლ რაზმში.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **თავ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობა.** გუშინ დილიდან ტფ. ქალაქის მოურავის ავადმყოფობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ავადმყოფი თან და თან დასუსტდა და გრძნობაც დაჰკარგა.

✦ **ამნისტია 1913 წელში.** „რეჩის“ სიტყვით მაღალ სფერებში განზრახული აქვთ 1913 წელში გამოაცხადონ ამნისტია იმის აღსანიშნავად რომ ამ წელში სამასი წელიწადი სრულდება რაც რომანოვების გვარეულობა მეფობს. ლიტერატურულ, პოლიტიკურ და საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეებისა გამო დასჯილნი სრულიად განთავისუფლდებიან. მათ ყველა წართმეული უფლებანი დაუბრუნდებათ. ამ ხასიათის გაუთავებელი საქმეები მოისპობა. ტერორისტულ აქტებთან დამოკიდებულ დასჯილებს სასჯელი შესამჩნევად შეუმცირდებათ. ამნისტია ფართოდ შეეხება აგრარულ მოძრაობის გამო დასჯილ გლეხებს. ეპატიებათ სახელმწიფოს გადასახადები დასჯილ მოხელეთა მდგომარეობაც შემსუბუქდება, აგრეთვე ინტენდანტების მდგომარეობაც. ამნისტიის დაწვრილებით პროგრამის შედგენას შეუდგებიან შემოდგომაზე, რისთვისაც შესდგება სპეციალური კომისია.

✦ **ქათალიკოსის გამგზავრება.** 14 ივლისს, სომეხთა ქათოლიკოსი ტფილისიდან ეჩმიაძინში დაბრუნდება. ქათალიკოსს გააცილებენ სომეხთა სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენელნი.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ახალ-ქალაქის ქალაქის თვითმმართველობამ ერთდროულად 300 მან. გადასდო კავკასიის უნივერსიტეტის მოსაწყობად.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 12 ივლისს ტფილისში ხოლერით ავად გახდა 12 კაცი. ამათგან სამი გარდაიცვალა: ანდრია ხოკლი, ლევან ზაქარიას ძე პარიაშვილი და ეკატერინე სვიმონის ასული რეშეტოვისა. დანარჩენი ავადმყოფნი ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს. მათი გვარები: 1) ბალდასარ აპროიანცი, 2) სიმონ მერეველი, 3) ოსკარლ კუბეცკა, 4) ალექსი კერვალიშვილი, 5) ნაკან აივაზოვი, 6) დანიელ კევორკოვი, 7) ეკატერინე მჭედლოვისა, 8) აკობ აირაპეტიანცი და 9) ეკატერინე ჩუხრუკიძე.

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** გუშინ საღამოთი კრება ჰქონდა ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიას, რომელმაც ზომები შეიმუშავა ხოლერის წინააღმდეგ.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი**. ტფ. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 12 ივლისის დილის ცხრა საათიდან 13 ივლისის დილის ცხრა საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა ცხრა კაცი. ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ხუთი. ხოლერიანთა ბარაკში იყო—77 ავადმყოფი, მოემატა—10, მორჩა და სამკურნალოდან გამოეწერა—4, მოკვდა—6, დარჩა —77.

✦ **მადანი ჩრდილოეთ კავკასიაში**. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით სოფელ ხასაუტში, ყუბანის ოლქში აღმოჩენილა ქვის ნახშირის ალიბასტრის, ვერცხლის და ტყვიის მადანი. ბელგიის ინჟინრებს მოლაპარაკება აქვთ გამართული ამ მადნის იჯარით აღებაზე.

✦ **ზღვაში დახრჩობა**. დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს, რომ ბაქოში ტვირთის საზიდი ნავი დაეჯახა პატარა ნავს, რომელზედაც 30 ზღვაში მოსეირნენი იყვნენ. გადაარჩინეს 8 კაცი, იპოვეს 4 დამხრჩვალის გვამი. დანარჩენებს ეძებენ.

✦ **კალიასა და მინდვრის თაგვთან ბრძოლა.** ნამესტნიკის თანაშემწემ განკარგულება მოახდინა 300 მანეთი გადაეცეს ტფ. გუბერნატორს. ამ ფულით ზომები უნდა იქმნას მიღებული სოფლის მინდვრებში გაჩენილ კალიასა და თაგვის წინააღმდეგ.

✦ **სახლის დაწვა**. როგორც გორიდან გვატყობინებენ, სოფელ ქარელში ამ დღეებში გადამწვარა ანნა და ელისაბედ ციციშვილების ორ სართულიანი ქვის სახლი, ჯერ დაუმთავრებელი. როგორც გამოირკვა, სახურავს წინადვე ნავთი ჰქონია დასხმული. პოლიციის ცნობით, სახლი განგებ გადაუწვავთ. სახლი დაზღვეული ყოფილა დამზღვევ საზოგადოება „როსსია“-ში 8,921 მანეთად. ზარალი 5.000 მანეთამდეა.

✦ **შეტაკება ყაჩაღებთან**. ლანჩხუთიდან გვწერენ; 9 ივლისს, შაბათს 11 საათზე ადგილობრივმა ბოქაულმა ცამეტი სტრაჟნიკით ალყა შემოარტყა ლ. ჩხარტიშვილის სახლს, სადაც იმალებოდა ოთხი ყაჩაღი. ორივე მხრიდან საშინელი სროლა ასტყდა. ისროდენ თოფებ და რევოლვერების. სროლამ სამ საათს გასტანა. ბოლოს ბოქაულმა ხალხი შემოახვია სახლს, მაგრამ ხალხმაც ვერაფერი გააწყო. სამი საათის სროლაში ოთახი სრულიად დაიცხრილა. ყაჩაღებმა მოჰკლეს ორი ცხენი და ერთი სტრაჟნიკი, და ერთი კაციც ხალხიდან. სამი ყაჩაღი უვნებლად გაიქცა. მეოთხე ყაჩაღი, გურიაში კარგად ცნობილი ჯორბენაძე მოკლული იქნა ამბობენ ჯორბენაძემ გაქცევა ვერ მოახერხა და თითონვე მოიკლა თავიო.

✦ **შანტაჟისტი**. 12 ივლისს, საღამოს 9 საათზე, გორის მაზრის სოფ. მერეთის მცხოვრები გიორგი ხუროშვილი ავჭალის ქუჩაზე, მაშადი-ხაგი-ტაგი-ოღლის დუქანში შევიდა და მუქარით ფულის თხოვნა დაუწყო, მაგრამ პოლიციელმა შეიპყრო.

✦ **სეტყვის შედეგი**. უკანასკნელ ნიაღვარსა და საშინელს სეტყვას თელავის მაზრის რამდენიმე სოფელი საგრძნობლად დაუზარალებია. სეტყვას მთლად გაუფუჭებია ნათესები და ამოუხოცია შინაური ფრინველები. ოფიციალურ ცნობით, ზარალი მოსვლიათ: სოფ. იყალთოს—18,630 მანეთისა, კურდღელაურს—18,075 მან., ვარდისუბანს—2.500 მან., მერეს—320 მან., ახშნს—3.093 მან., აწყურს —740 მან. და სხვა.

✦ **ნიაღვარი ნუხაში**. 10 ივლისს გათენებისას ნუხაში კვლავ დიდი წვიმა მოსულა. ნიაღვარს მთლად წაუღია ერთი ნაწილი სოფელ ბაშ-გეისიუკისა. დაღუპულა ხალხი და შინაური ცხოველები.

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** 11 ივლისს ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით ხოლერასთან მებრძოლ ბიუროს კრება მოჰხდა. კრებას აგრეთვე დაესწრენ: ტფ. პოლიცმეისტრის თანაშემწე ბ-ნი კანდელაკი, უბნის ბოქაულები და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი ბ-ნი ხარაზოვი. თავჯდომარემ დამსწრეთ აუწყა, რომ ეს შეერთებული კრება მოწვეულ იქმნა ნამესტნიკის თანაშემწის სენატორის ვატაცის წინადადებით და კრებამ ზომები უნდა შეიმუშავოს ხოლერასთან საბრძოლველად განსაკუთრებით კი კარგად უნდა გამოარკვიოს პოლიციის როლი ხოლერასთან ბრძოლის დროსო. კრება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პოლიციელთ უნდა დაეკისროთ მხოლოდ ადმინისტრატიული როლი, ესე იგი მან თავის დროზე უნდა აცნობოს ექიმებსა და სანიტარებს, თუ სადმე ხოლერით ვინმე ავად გახდება. დანარჩენ ზომების მიღება კი შეადგენს ექიმების მოვალეობას, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ ავადმყოფთან და საჩქარო ზომები მიიღონ. კრებამ შესაფერი ინსტრუქციები შეიმუშავა სახელმძღვანელოდ.

✦ 12 ივლისს პოლიციამ ტფილისში 8 მათხოვარი შეიპყრო. მათ თავიანთ სამშობლოში ასახლებენ.

✦ 12 ივლისს ქალაქის სხვა და სხვა უბანში საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ 33 უპასპორტო შეიპყრო.

მოწერილი ამბები

მცხეთა. აგერ ხუთი თვეა რაც მე სოფელს მცხეთაში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემს თვალებსჯერ არ უნახავს ისეთი ჩამორჩენილი სოფელი, როგორიც ეს არის. მაგრამ რა გვამტყუნებ საწყალი გლეხები, როდესაც თვით აქაური ინტელიგენცია სარგებლობს მისი სიბნელით და ისედაც მიძინებულს უფრო ტკბილს ნანას უმღერს, რომ სამუდამოდ დააძინოს, ყველას გაგებული აქვს რომ მცხეთაში არსებობს სახალხო უფასო სამკითხველო, მაგრამ ბევრი შრომა დაგჭირდებათ რომ მოასწროთ გაღებულს სამკითხველოს (იანვრიდან მაისამდის ხომ სულ დაკეტილი იყო) შეხვალთ სამკითხველოში და ნახავთ მკითხველს ხალათ გახდილს გადაწოლილს სკამზე თან პაპიროზს ეწევა, ალბათ საწყალი ძალიან დაღლილა, რომ სამკითხველო გაუღებინებია. მიუხედავათ იმისა, რომ სამკითხველოში თაგვები დათარეშობენ, გამგეობა მაინც არავითარ ზომებს არ იღებს მისი პირობების გასაუმჯობესებლად, ან კი სადა სცდიან პატონ გამგეს გ. მ—შვილს და მის თანაშემწეს ქალბატონს ნ. გ.—ასულს. ორივეს პირადი საქმეები აქვს გასაკეთებელი. თუ მაინც და მაინც მოასწრით სამკითხველოს კადებულს შიგ მაინც ვერავის ნახავთ ვერც გამგეს და ვერც მის თანაშემწეს.

გ მ. დანიშნულია აგრეთვე საქონლის ექიმათ, მაგრამ ვაი უბედურებავ, დუქნები სავსეა ავანტმყოფი საქონლით, ჩვენს პატივცემულს ექიმს კი სძინავს. აქვეა ექიმი, რომელიც უნდა ავადმყოფთ შინჯავდეს, მაგრამ ისიც საერთო ფერხულშია—ზარმაცებში. პატივცემულნი მასწავლებლები რომლებსაც ყველაზედ მეტათ უნდა სცხვენოდეთ რადგან არამც თუ არაფერს აკეთებენ არამედ სხვებსაც უშლიან ხელსა.

დაჩაგრული

—

ბახმარო (გურია). ბახმარო, როგორც აგარაკი, კარგა ხანია ცნობილია. ჩვენს ჟურნალ გაზეთებში უთვალ წლობით შეხვდებით წერილებს ბახმაროდან. ამ აგარაკს კარგი მომავალი მოელის, და ეს იქიდანაც სჩანს, რომ მიუხედავად ცუდი გზებისა, აქ ყოველ წლობით აუარებელი ხალხი აწყდება. გასულს წელს, მაგალითად, მოჭაერეთა რიცხვი აქ სამი ათასამდე ავიდა. აგარაკს ყოველ წლობით ახალი სახლები ემატება და თან-და-თანობით დიდდება. ამ გარემოებას მთავრობამაც ყურადღება მიაქცია. მეორე წელია მაზრის უფროსი ზაფხულობით აქ სცხოვრობს. წელს ქუთაისის გუბერნატორსაც მოელიან. გაზაფხულზე ბახმარო ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ ინახულა და ეკლესიის აგების სურვილი გამოსთქვა.— ამ დღეებში გვესტუმრა მთავრობის მიერ გამოგზავნილი მიწისმზომელი, რომელსაც დაკისრებული აქვს წესიერად გაჭრას აგარაკი. ამდენხანს მამულის პატრონი როგორც მოისურვებდა სახლს ისე აგებდა. აგარაკის დაგეგმვის შემდეგ თქმა არ უნდა ბევრს სახლის სხვა ადგილას გადატანა მოუხდება.

ბახმაროზედ არსებობს ეგრედ წოდებული „ჯანმრთელობის“ საზოგადოება. საზოგადოებას აქვს საკუთარი შენობები, სადაც მოთავსებულია რესტორანი, საუსტო და სხვა. ამ შენობებს საზოგადოება იჯარით უთმობს კერძო პირებს და შემოსულ ფულებს ბახმაროს საკეთილდღეოდ ხარჯავს.

გასულს წელს, მაგალითად, საზოგადოებამ გადასწყვიტა წყლის მილის გამოყვანა (თუმცა ბახმაროს [illegible] აკლდა, მაგრამ ამ [illegible] აგარაკი საგრძნობლად გადიდდა და ზოგიერთი სახლები წყაროებს დაშორდა). წყლის გასაყვანად საჭირო მილების ნაწილი კიდეც მოიტანეს და იმედია მომავალში საქმის განხორციელებას შეუდგებიან.

ბახმაროზე სეზონი 20 ივნისს გაიხსნა, მოაგარაკენი როგორღაც ზანტად იკრიბებიან და ბევრი სახლებ გაუქირავებელი რჩება. მოაგარაკე სიძვირე იმით აიხსნება, რომ გასულ წელს აგარაკს აუარებელი ხალხი მო წყდა; აგარაკი მოულოდნელ სტუმრე მოუმზადებელი დახვდა და საჭირ სანოვაგე ვერ მიაწოდა. ამის გამ ბევრი მოჭარბე დაშანდა და წელ სხვაგან არჩია წასვლა. წელს კი, მა ლობა ღმერთს, სანოვაგე საჭირო მეტიცაა დამზადებული და ფულის გა მოღებას თუ არ დაიზარებს, თითოეუ ლი მოაგარაკე მაძღარი იქნება.

7 ივლისს „ჯანმრთელობის“ საზო გადოების ინიციატივით მოწვეულ იქმნა მოაგარაკეთა საზოგადო კრება. კრებამ აირჩია სანიტარული კომისია მოაწყო ფოსტის წადებ-წამოდები საქმე და სხვა.

გასულს წელს ბახმაროზე თითქმ ყოველ დღე იმართებოდა წარმოდგ ნები და კონცერტები; კითხულობდნ ლექციებს და სხვა.—წელს ამაზე ჯერ-ჯერობით თავს არავინ იტკივებს შემდეგში რა იქნება ვნახოთ. წარმო დგენების მაგიერ ხალხს სინემატოგრა ფით უმასპინძლდებიან, თუმცა უკანასკნელს ხალხი ნაკლებად ეტანება.

გურიაში დარჩენილია ლეგენდა, რო მელიც ხსნის თუ როგორ წარმოსდ სიტყვა: „ბახმარო“, მგონი ეს ლე გენდა ჯერ გაზეთის ფურცლებზე არ ვის აღუნიშნავს. ლეგენდის შინაარ სი ასეთია: ძველს დროში, როცა გურ ცალკე სამთავროს წარმოადგენდა, გუ რულ თავადებსა და აჭარელ ბეგე შორის დაუსრულებელი თავდასხმ უთანხმოება იყო გამეფებული. წელიწადი არ გაივლიდა, რომ ბეგებ საგან გამოგზავნილი ყაჩაღები სწვევოდნენ გურიას. ისინი ზაფხ ლობით ჩამოდიოდნენ მთებიდან ხშირად გაიტაცებდნენ ხოლმე ლამ ქალებს. გურულებიც, რაღა თქმა უნ სამაგიეროს უხდიდნენ და ხშირა თავხედობისათვის ყაჩაღებს სასტიკ სჯიდნენ.

უიალქნოდ*)

თხუთმეტიოდე წლის წინად ქუთაისის ბულვარზე ხეებთა შორის მიმალული იყო თეატრი. შტოები ეყრდნობოდა ისედაც ხარატულს კედლებს, კეკლუცი სახლი ხელმწიფის მისაღებათ იყო აშენებული. მესამე კი თეატრად გადააკეთეს. თითქმის ყოველს წარმოდგენას ესწრებოდა ერთი ყმაწვილი ასე 25—26 წლისა. ყველა იცნობდა და ყველას იცნობდა. ქალებს მოსწონდათ. მხოლოდ ზოგიერთ კნეინა-კნიაჟნებს ეჩოთირებოდათ უშნო სახელი: „ლაზარე კვიხაშვილი“. ყმაწვილიც ღიმილით ემუსაიფებოდა ნაცნობს, სტუმრათაც დადიოდა, საზოგადოებაში ერეოდა, მაგრამ მჭიდრო მეგობრულის კავშირით არვის დაახლოვებია. მიხვრა-მოხვრაზე, სიტყვა-პასუხზე ეტყობოდა, რომ ამ წუთით არ იყო კმაყოფილი და რაღაც გამოურკვეველ აზრს თუ ოცნებას ეპოტინებოდა... უძლურად.

ერთ დღეს საზოგადოებამ სრულიად მოულოდნელად ლაზარე კვიხაშვილი და ქალაქში ცნობილი როსკიპი ერთად დაინახა ლოჟაში. ნაცნობები აღელვდენ. ჟანდარმის პოლკოვნიკი ბულაძე გაავთრებული გაიძახოდა, ეს შეურაცხყოფაა საზოგადოების და მით უმეტეს მოხელეებისაო; თავადი ვანო, საყვარელი ვანო, გულმხიარული იცინოდა და გაიძახოდა, ესეც ერთი „საქმრო“ დაეკარგა ჩვენს მანდილოსნებსო; კნეინა სოფიომ ადვილად არ შეხედა საქმეს და გაჯავრებული ამბობდა, რა უნამუსობაა, რა უსირცხვილობაო. სწორედ ამ დღეს ხელ გაყრილი ჩამოუარეს კნეინას კვიხაშვილმა და მისმა ქალმა.

კვიხაშვილმა ჩვეულებრივ თავი დაუკრა. კნეინამ უნებლიეთ პასუხი გასცა და მაშინვე შეინანია: „**Вотъ нахалъ!**“—წამოიძახა კნეინა სოფიომ. კვიხაშვილს სიტყვები არ გაუგონია. მხოლოდ ქალმა მოჰკრა ყური და გადასცა. „ჯანი გავარდნიაო“ ჰიუგო კვიხაშვილმა. „არა ერთი გამაცანი, თუ გიყვარდე“—სთხოვა ქალმა. „დიდის სიამოვნებით“— „**ну и будетъ скандалъ**“ — სიამოვნებით გაიფიქრა ლაზარემ.

— ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, კნეინა—მიიყვანა კვიხაშვილმა ქალი.

— **Какъ вы смѣете!**— დააბაკუნა ფეხი კნეინამ და შებრუნდა.

— ძალიანაც ნუ ცხარობთ, კნეინა,—გააყოლა ხმა მაღლა კვიხაშვილმა — თქვენივე პროფესიისაა. თქვენ გუბერნატორის ბუდუარში დიდის ხალისით მიდიხართ, როცა პოლკოვნიკები ველარ გაქეიფებენ საკმაოდ, ნატო კი გუბერნატორის მოხელეს მიმირთავს, როცა უკანასკნელი რიგის მაგიერ ლოჟაში სურს დაჯდეს. რა გაკვირვებთ? საზოგადოებაში ჩოჩქოლი ასტყდა. ჭკუა დამჯდართა თვალში ლაზარემ უცბად დაჰკარგა ყოველივე ფასი. პოლკოვნიკი რაღაცას იქადოდა. ახალგაზდა ქალები საჩქაროდ შორს დებოდნენ იმადგილს, სადაც „თავხედი“ ქალ-ვაჟი იდგა, გულის სიღრმეში კი ამბობდნენ: „**молодецъ, какой душка!**“ თავადი ვანო, საყვარელი ვანო, გულმხიარული იცინოდა და ყმაწვილები სალაყბოთ დაჰპატიჟა ვახშამზე.

ფარდის აწევამ დაიგვიანა, მაგრამ საზოგადოებას მოუთმენლობა არ ემჩნეოდა.

კნეინა გაჰქრა.

კვიხაშვილი დუელში გამოიწვია·—ვინ?—ღმერთმა იცის!.. მაგრამ ჩვეულებრივად გათავდა დუელი. მიაფუჩეჩეს.

კვიხაშვილი დაითხოვეს.

ამ ექვსი-შვიდი წლის წინ თორმეტ საათზე სამიკიტნოებთან თუ გაივლიდით დაინახავდით ოდნავ მთვრალს მოპარბაცე ფოსტის მოხელეს; როცა მთვრალი შევიდოდა დუქანში, მედუქნემ უკვე იცოდა რომ ერთი დიდი ჰიქა ღვინო უნდა ჩამოესხა. ფოსტის მოხელე ზეზე დალევდა ღვინოს, პატარა საჭამადსა და პურს დააყოლებდა და დანარჩენს ჯიბეში ჩაიდებდა. მის ჯიბეში ნამდვილი სანოვაგის გამოფენა იყო. ლავაშის ნახევი, ზეთის ხილი, თეთრი პური, კუპატი, სულგუნი — ყველაფერი ერთმანერთში იყო არეული. ქუჩის ბავშვები მისდევდენ უკან და ნახევრად დაცინვით, ნახევრად ხვეწნით უძახოდენ: „ლაზარე, ლაზარე ერთი პური მაჭამე“. დაკვირვებული მაყურებელი შენიშნავდა, რომ ჯიბიდან წერილების წვერებიც მოსჩანდა...

ქალმა ვიწრო ქუჩაში შეუხვია. ეტლმა ჩამოგვიარა და უამრავი მტვერი მოგვაყარა. შუა გზაზე დახეული წაღა ეგდო. „გადმონალოცი“ ნაჭრები, დედოფალა, შეღებული კვერცხი გზის განაპირას იდვა, მესრის ძირში. შორიდან მოისმოდა გიტარის აკომპანიმენტი და მანდილოსნის ნაღვლიანი ხმა: „ნუ დამივიწყებ, ნუ დამივიწყებ!“ შუა ქუჩაში ტლაპოში გაჭიმულიყო რუხვი დიდი ნეზვი ღორი; ძუძუები გადმოეყარა და ხვრინავდა. იქვე შვიდი გაზრდილი გოჭი იჩუჩნებოდა. ქალი შეჩერდა სწორედ იქ, სადაც ვიწრო ქუჩა თავდებოდა. მივედით. სახლის წინა მხარე სამი ფანჯარით აივანზე გამოდიოდა. აივანის ბოძები და კიბე ქუჩას უფრო ეკუთვნოდა ვიდრე სახლს. პატარა ფანჯრებს შიგნიდან ფარდები ეკიდა. ოდნავ მბჟუტავ ლამფას ძლივს შეამჩნევდა აივნიდან კაცი. მივიხედ მოვიხედე. ქუჩის მეორე მხარეს მინგრეულ-მონგრეული მესრი მომხვდა თვალში. რაღაც მოგონება აღმიძრა ამ უტყვმა წამოქცეულმა ღობემ... რა უნდა იყოს, რა მოხდა აქ ისეთი, რომ მახსოვრობაში ჩამრჩენოდეს.., ჰო, სწორედ აქ ერთ საღამოს, როცა ჩავიარე დავინახე ლაზარე კვიხაშვილი უქუდოთ, გაალმასებული უყვიროდა გვერდში მდგომ თმა გაწეწილ, ცოტა შემთვრალ დედაკაცს: „ნუ მჭრი თავს, რა ღმერთი გიწყრება! ნუ როსკიპობ. „როსკიპი ვარ, როსკიპი, მერე შენ რა გინდა შე.... შე ქეციანო ვირო!“ ნუ თუ ეს ლმობიერი, ნაზ მგრძნობიარე, სადა ქალი იყო მაშინაც?

ოთახში შევედით. ჩვეულებრივმა ბურუსმა შემიპყრო: შეხუთული ჰაერი, სუნი, აჭრელი სურათები, ლუდის ბოთლები საკვირველი იყო ამ ოთახში, რომლის გვერდში ამ ორი საათის წინათ მიცვალებული იწვა.

წამოსვლა მინდოდა, მაგრამ უეცრად ვერ მივახერხე და ვიკითხე: ლაზარეს ოთახი სადაა?

გვერდშივეა, ოღონდ აქედან პირდაპირ გასვლა არ შეიძლება— შემოიარეთ აივანი, მეორე კარებია. მანამდის მეც ტანისამოსს გამოვიცვლი. ქალი უკვე მოურიდებლად ზედა წელს იხდიდა. შემომხედა. სახე სრულიად გამოსცვლოდა. თვალები არეოდა და სახეს ღიმი გადაჰკროდა.

Свинья!—გავიფიქრე გულში.

შემოვიარე, კარები გავაღე და ასანთი გავკარი. ლაზარეს ოთახში არაფერი დარჩენილიყო—მიცვალებულს ყველაფერი თავისი თან წაეღო. მხოლოდ ტახტზე დაგლეჯილი საბანი ღა დარჩენოდა და ფეხმოტეხილ სკამზე, რომელიც ტახტის წინ იდგა, სანთლის პატარა ნამწვი. ნამწვი ავანთე.

პატარა ოთახის ფანჯარასთან იდგა მელნით აქა-იქ გაშავებული, ნავთით დაჩენილი, პაპიროსით აგერ-ეგერ ამომწვარი მაგიდა, რომელსაც გვერდებზე შერჩენოდა ჯერ კიდევ თაფლის სანთლის ღვენთები ჰგავს მაგიდა კანდელის მაგიერობას ასრულებდა. მიცვალებულის წინ მაგიდის ქვეშ ფეხი წამოვკარი ქაღალდებს. შევიხედე. იატაკზე, ერთმანერთში არეული ეყარა, რაღაც ხელთნაწერები და ურიცხვი, აუარებელი... წერილები. ნაწერები რომ დარჩენოდა ადამიანს, რომელიც ერთხელ რედაქციაში მუშაობდა, არაფერი საკვირველი იყო, მაგრამ ამ წერილებმა ცოტა არ იყოს შემაჩერა. მინდოდა წამეკითხა, მაგრამ მერიდებოდა.

— აქ ხელთნაწერებია...—გავძა ჩემს მეზობელს,

— დიახ!

— შეიძლება რომ წავილო, ვ უნდა ვკითხო?

— ჩემს მეტს ვისა სთხოვთ? მან გამოსვლა არ შემიძლია, გამოიტ ნეთ აქეთ და ვნახოთ.

— დავხვიე ხელი და გავიტანე.

— რა ცოტა უწერია განსვე ბულს,—მწარის დაცინვით მითხ ქალმა.—უკანასკნელი ოთხი წელ წადი თითქმის ხმასაც არ მცემდა სულ რაღასაც სწერდა; განა ამ მეტი ვერ მოასწრო.

— მიირთვით—და ჭიქით ჩაი გ დმომიდგა.

— როგორ თუ ხმას არ გცემდა

— ჰე, რაღაც გაუგებარს მომ ყვებოდა: ნიგვზის ხე ძვირფასია მაგრამ შეშათ არ ვარგაო; შ შათ მუხა კარგია, მაგრამ ცოდვ ასე ადვილად მისი მოხმარება ჩვენცო—ჩემზე და თავის თავ იტყოდა—ისეთს საქმეს მოვკიდ თავიდანვე ხელი, რომლისთვისაც ვარგოდით და იმიტომ აგვერია მ ნასტერიო. მაინც სატირალი ათ მქონდა და მისი სიტყვები, თუ არ მესმოდა, მთლად მრევდენ—ამ ტომ აღარც ვლაპარაკობდით... კ ნიაკს არ მიირთმევთ? ცუდათ ჩამ გტირით სახე, და პატარა გამხ რულდებით.

— გავნაზდი, მაგრამ დამაძალ თვითონ გადაჰკრა ერთი მოდი ჭიქა და ოხვრით ჩაილაპარაკა საჭმელი მაინც მოგვცა. მიირთვ ნუ დამიწუნებთ.

— მეც დავლიე და მორიდებ ვკითხე: არ შეიძლება ვინმე დუქან გავგზავნოთ?

---

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 54

ერთხელ აჭარელი ყაჩაღები დაეცნენ ერთ გურულ თავადის ოჯახს და მთაში გაიტაცეს თავადის ერთად-ერთი ქალი —მშვენიერი მარო. გურული მდევრები ფეხ-და ფეხ გამოუდგნენ ყაჩაღებს და დაეწივნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც ეხლა აკარაკია გაშენებული. ყაჩაღებმა იგრძნეს, რომ გაათრებულ გურულებს ვერ გაუმკლავდებოდნენ, მაშინვე დაჰკლეს მშვენიერი მარო, შემდეგ მახლობელ კორაზე გავიდნენ და გულდათუთქულ გურულებს გადმოსძახეს: „ბახ, მარო“. ესე იგი, ნახე მარო! ამის შემდეგ ამ ადგილს ბახმარო დაერქვა.

იასონ დონიშვილი.

თელავის საკრებულო ტაძრის სამრევლო სკოლა

(მცირე შენიშვნა).

რომ მღვდლების გამგებლობა სამრევლო სკოლებში და მათგან მასწავლებლის პიროვნების დაჩრდილვა სწავლა-აღზრდის საქმეში სასურველ ნაყოფს ვერ იღებს, დიდი ხანია ყველასაგან ცნობილია და ჟურნალ-გაზეთებშიაც არა ერთხელ აღნიშნული ეს სამწუხარო მოვლენა. მართალია, როგორც გამონაკლისი, არის ისეთი შემთხვევა, რომ მღვდელი მისდამი რწმუნებულ სკოლაში სამღვთო სჯულის სწავლების სჯერდება და დანარჩენ საქმეში მასწავლებელს თუ მოქმედების სრულს თავისუფლებას არ აძლევს, ხელს მაინც არ უშლის; მაგრამ უფრო ხშირად მამა გამგე სკოლის ბატონ-პატრონად ჰრაცხს თავს და ამ ბატონ-პატრონობას მასწავლებლის თვითმოქმედების უნარის და ხალისის ჩაქრობით იწყებს. თუ ეს ვერ მოახერხა, მასწავლებლის პირველი მტერი ის ხდება და სცდილობს ყოველ ფეხის გადადგმაზედ წყალი აუმღვრიოს მას.

ამ აზრის მშვენიერს ილლიუსტრაციას თელავის საკრებულო ტაძრის სამრევლო სკოლა წარმოადგენს. ათ წელიწადზე მეტი იქნება, რაც ეს სკოლა დაარსა აწ განსვენებულმა დეკანოზმა ხელაშვილსა და მასწავლებლადაც კარგად მცოდნე და უსაზღვრო მოსიყვარულე პირი მიიწვია. მამა დეკანოზს კარგად ესმოდა, რომ მისი სწავლების საქმეში ჩარევა სკოლას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა და თავისი გამგებლობა მასწავლებლის და სკოლის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ მზრუნველობით შემოფარგლა.

არ გასულა ერთი წელიწადი და „ონისიმეს სკოლამ“ (დღევანდლამდე ასეა ცნობილი ეს სკოლა, რადგან მის სულის ჩამდგმელ მასწავლებელს ონისიმე ჰქვიან) სახელი გაითქვა. სწავლაში წარმატებით და საუცხოვო გალობით. ორი წლის შემდეგ ხომ მასწავლებლის დაუღალავმა შრომამ დაუჯერებელი ნაყოფი გამოიღო: რამდენიმე მოწაფემ ჩინებულად ჩააბარა ერთკლასიან სამრევლო სკოლის გასათავებელი გამოცდა და ჯეროვანი მოწმობაც მიიღო. მესამე წელს ამ სკოლას იმდენი ბავშვები მიაწყდა, რომ საჭირო შეიქმნა მასწავლებლის თანაშემწის მოწვევა. მალე დეკანოზ ხელაშვილის მეცადინეობით ეს სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა, ეპარქიალურმა საბჭომ ას თუმნამდე ყოველწლიური დახმარება დაუნიშნა და მასწავლებელთა რიცხვიც ოთხამდე ავიდა.

ამ გვარად იზრდებოდა და იფურჩქნებოდა „ონისიმეს სკოლა“ პირველ ხანებში, მაგრამ, ნათქვამია: „ერთი დრო არწივის შერჩებაო“ და აკი არც ამ სკოლას შერჩა! რადგანაც განსვენებული დეკანოზი ხელაშვილი მრავალი სხვა თანამდებობითაც იყო დატვირთული, იმისი თანამოტრაპეზე მამა ივანე შიუკაშვილი შევიდა მის გარემოებაში და იშუამდგომლა მთავრობასთან, რომ მამა დეკანოზი განთავისუფლებინა სკოლის გამგებლობისაგან და ეს თანამდებობა იმისთვის ჩაებარებინა. მაგრამ ეპარქიალურმა მეთვალყურემ ამისთანა უანგარო შრომის სურვილი (სამრევლო სკოლის გამგეთ ჯამაგირი არ ეძლევათ) აქტივში ჩაუწერა და შუამდგომლობა შეიწყნარა.

რომელია იმათგან მტყუანი და რომელი მართალი, ამისი რა მოგახსენოთ და ეს კი მზესავით ნათელია, რომ მამა შიუკაშვილის სკოლის გამგედ დანიშვნა და ამ სკოლის უფსკრულსკენ დაქანება ერთი იყო. მამა შიუკაშვილმა გამგებლობა იქიდან დაიწყო, რომ მოიწადინა სკოლაში მასწავლებლების ავტორიტეტს ჩაქრობა და მის ადგილზედ მათ თვისდამი მორჩილების წამოსკუპება. შეიძლება ეს კეთილ განზრახვაც მოსდიოდა, რადგანაც თავის თავს მასწავლებლებზედ ცოდნით და გამოცდილად ჰრაცხდა სწავლების საქმეში და სურდა, რომ ისინი მის ხელმძღვანელობის ქვეშ ყოფილიყვნენ, მაგრამ ამ განზრახვას მისი საქმენი ვერ ამართლებენ. 5—6 წლის განმავლობაში ის არც ერთხელ არ დასწრებია რომელიმე მასწავლებლის გაკვეთილს, მაშასადამე ვერც გაიცნობდა მასწავლებელთა უნარს და ნიჭს სწავლების საქმეში; არც ერთხელ არ მოუხდენია მათი კრება, რომ გაეზიარებინა თავისი პედაგოგიური ცოდნა და გამოცდილება, მიეცა შენიშვნა გამოუცდელისათვის, წაეხალისებინა თავის საქმეში მუყაითი. ამ ხნის განმავლობაში ის მხოლოდ მასწავლებლების შევიწროებას სცდილობდა. უფრო კი ონისიმე ქიკაძე ეჩხირებოდა თვალში, რადგან ის იმდენად კადნიერი იყო, რომ თელავის მაზრა მამა შიუკაშვილისადმი რწმუნებულ სკოლას ონისიმეს სახელით იცნობდა. ამიტომაც მოუსპო მას შეშა, ჩამოართვა კლასების გასაღებები და სკოლის ყარაულს ჩააბარა. თუმცა წიგნთსაცავის გასაღების ჩამორთმევა და ყარაულისათვის გადაცემა მამა გამგემ მოსახერხებლად ვერა სცნო, მაგრამ, სამაგიეროდ, სასტიკად აღუკრძალა მასწავლებელს სკოლისთვის გამოწერილი პედაგოგიური და საბავშვო ჟურნალების მიღება და ეს საქმეც, როგორც უფრო შესაფერი იმავე ყარაულს მიანდო.

ახლა ჯერი ბ-ნ ქიკაძის ბინაზედ მიდგა. მართლაც, ის რომელი წითელი კოჯი იყო, რომ სამს მასწავლებელში (მეოთხე მასწავლებელი კარგა ხანია შეაკვეცეს ამ სკოლას) მარტო ის სარგებლობდა უფასო ბინით. რომ მასაც აღარა ჰქონოდა ასეთი ბინა, საჭირო იყო სკოლისთვის მომცრო შენობის დაქირავება. თუ არა ეს, აბა სხვა რომელ მიზეზს დაასახელებს მამა გამგე, რომ შარშანვე სცდილობდა ამ სკოლის თელავის ზემო ნაწილში გადატანას? იქნება სთქვას, რომ ამ სკოლით ეხლა, თითქმის სანახევროდ, საკუთარ სკოლას მოკლებული ოთხას კომლიანი სოფელი კურდღელაური სარგებლობს და მაშინ კი, სკოლის დაშორების მიზეზით, იგი სრულიად მოსწყდებოდა მას?!

შარშან ბ-ნ ქიკაძის მეცადინეობით, როგორც იყო, სკოლა ისევ ძველს ბინაზედ დარჩა, მაგრამ მამა გამგე აბა როგორ აპატიებდა მას ამისთანა ურჩობას. რომ მოესპო მისთვის საშუალება წირვის წინ ამავე სკოლის მოწაფეთაგან შედგენილი მგალობელთა გუნდის ხმის შესაწყობად შეკრებისა. მან ამ დროსთვის სკოლის შენობაში დანიშნა მეცადინეობა საკვირაო სკოლაში მოსიარულეთათვის, თუმცა უფრო შესაფერი დრო მათის მეცადინეობისა წირვის შემდეგ იყო. როცა მასწავლებელმა ამაზედ უკმაყოფილება გაუბედა მამა გამგეს, პასუხად მიიღო: „ისე უნდა გყავდეს მომზადებული გუნდი, რომ წირვის წინ ხმის შეწყობა აღარ საჭიროებდესო“. თუ ტფილისის და სხვა დიდ ქალაქების საუკეთესო მგალობელთა გუნდები საჭიროებენ ამგვარ ხმის შეწყობას, ბ-ნ ქიკაძის 8—9 წლის მოწაფეთათვის ეს სრულიად მეტია, რადგანაც... მამა შიუკაშვილი სკოლის გამგეა და ონისიმე ქიკაძე კი იმისი ხელქვეითი მასწავლებელი! მიზეზად ვგონებ ესეც საკმარისია.

იქნება ვინმე იფიქროს, რომ მამა გამგემ რაიმე განსაკუთრებული მიზეზით მარტო ბ. ქიკაძე ამოიღო თვალში?! სრულიადაც არა, მას თავისი მოწყალე თვალი და გული არავისათვის არ მოუკლია. აი, მაგალითად, მასწავლებელ ქალს ხატიაშვილს რაღას ერჩოდა, რომ მასაც მხარი აუქცია და მის ადგილს თავისი ქალი გაამწესებინა! ახლა ორკლასიანი სკოლის გაერთკლასიანებაც ხომ იმიტომ მოისურვა, (პროგრესია, მაშ რა ჯანდაბაა?) რომ ბ-ნი ქიკაძე და ქ-ნი ლუკაშვილი (მეორე მასწავლებელი ქალია). თავიდგან მოისხლიტოს და მარტო თვითონ და თავის ქალს დარჩეს ბურთი და მოედანი!

მამა გამგე სკოლის გაერთკლასიანებას იმით ასაბუთებს, რომ თელავში ეხლა პროგიმნაზია იხსნება და ვისაც, ერთკლასიან სამრევლო სკოლაში კურს დამთავრებულს, მოესურვება სწავლის განგრძობა, იქ შეეძლება გადასვლაო. რად არ იცის მამა შიუკაშვილმა, რომ ვისაც სამრევლო სკოლაში ხუთი მანეთი სწავლის ფულის შეტანა უძნელდება, ის პროგიმნაზიაში 80 მანეთის გადახდას ვერ შესძლებს. ვსთქვათ, მართალია მამა გამგე და საჭირო არ არის თელავისთვის ორკლასიანი სამრევლო სკოლა; წელს ხომ სკოლაში ახლად შემოსვლის მსურველი 60 მეტი იქნება და მათ საკუთრად მოუნდებათ ერთი მასწავლებელი, რას უპირებს იმ 70 მოწაფეს, რომლებიც მეორე და მესამე განყოფილებაში გადავიდნენ? ვსთქვათ ეს ბავშვებიც დამნაშავენი არიან, რომ მეორე და მესამე განყოფილებაშიაც მოისურვეს სწავლა, რად სცდილობს მამა გამგე ბ-ნ ქიკაძის და ქ-ნ ლუკაშვილის მოშორებას? სამართლიანობა ხომ ღირსეულის დატოვებას მოითხოვს თავის ადგილზედ და უღირსების გადაყვანას ან დათხოვნას. მამა გამგეს კი უკვე გადაჭრილად უცვნია ეს საკითხი და გადაუზიდია თავისთან სკოლის ყველა ავეჯეულობა და, რაც უფრო საკვირველია, წიგნები იმ განჯინიდან, რომლის გასაღები ეხლაც ბ-ნ ქიკაძეს აბარია.

ამ წერილის თავში მოყვანილი აზრის საფუძვლიანობაში ეჭვი არავის დაებადება თუ იმასაც დაუმატებთ, რომ მამა შიუკაშვილის 5—6 წლის გამგებლობის ხანაში მისდამი რწმუნებულს სკოლაში კურსი არავის დაუმთავრებია, თუმცა ამის ხელშემწყობი პირობები ეხლა უფრო მეტი იყო, ვიდრე დეკანოზ ხელაშვილის დროს, როგორც მაგალითად: სკოლის ორკლასიანობა, თვითეულ განყოფილებაში საკუთარ მასწავლებლის ყოლა და ხალხში მეტი მისწრაფება სწავლისადმი.

ზარაგანდა ვეძის-ხეველი.

უცხოეთი

სამპატიმროების რეფორმა ინგლისში.

დეპუტატთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩერჩილმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ სრულიად უნდა გაუქმდეს დაპატიმრება დამნაშავისა და სამაგიეროდ ფულით დაჯარიმება იყოს შემოღებული. 21 წლისაზე ახალგაზრდათ, ახალ პროექტის ძალით, საპატიმროში ჩასმა არ მიესაჯებათ, ცალკე საკანში ჩამწყვდევა შეიძლება მიესაჯოს, მხოლოდ არა უმეტეს ერთი თვის ვადისა. უნდა განისაზღვროს უბრალო, სისხლის სამართლით დასჯილი, და იდეიური დამნაშავე. უკანასკნელთათვის რეჟიმი უფრო ლმობიერი დასატანი უნდა იყოს, უთუოდ საპყრობილეში წელიწადში ოთხი წარმოდგენა ან კონცერტი უნდა იმართოს. ჩერჩილის წინადადებას დეპუტატთა პალატაში დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ. შესაფერისი კანონ-პროექტი იქნება შეტანილი ამ რეფორმის მოსახდენად.

ბრძოლა ქალების წინააღმდეგ.

ინგლისში, როგორც ვწერდით, მეტად გამწვავებულია ბრძოლა ქალთა სწორ-უფლებიანობაზე. ქალები მიტინგებს მართავენ, დემონსტრაციებს ახდენენ, საზოგადოებას იწვევენ თანაგრძნობისათვის. ქალები ამ ჟამად მედგრად იბრძვიან საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ მომხრეებთან ერთად, მათ მოწინააღმდეგენიც ჰყავთ. ქალთა სწორ-უფლებიანობის მოწინააღმდეგეებს მოწოდება გამოუციათ იმ მიზნით, რომ 100.000 გირვანქა სტერლინგი იქმნას შეკრებილი. ეს ფული საჭიროა თურმე იმისთვის, რომ იბრძოლონ არსებულ წესების ხელუხლებლობისათვის ე. ი. ქალთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგ. ამ მოწოდებაზე ხელი უწერია ისეთ პირებს, როგორიც არიან ლორდ რობერტსი, ორივე ჩემბერლენები, რობილდი, ლორდი კერზონი, ლანდოუნი და სხვანი.

სუფრაჟისტკებმაც, თავის მხრივ, მიტინგი გამართეს. ამ მიტინგს, სხვათა შორის დაესწრო პალატის ხუთი დეპუტატი და ლლოიდ-ჯორჯი. მიტინგზე ორატორები არკვევდნენ იმ საკითხს, დაუცადოთ შეკლტონის მიერ პალატაში შეტანილ კანონ პროექტის გატარებას, თუ ახალი კანონ-პროექტი შევიტანოთო. ეს საკითხი ჯერ არაა გადაწყვეტილი.

კონსტიტუცია ჩინეთში.

ამას წინად ვწერდით, რომ ჩინეთში საგრძნობლად გაძლიერდა მოძრაობა „ახალგაზრდა ჩინელებისა“. ჯერ ერთხელ გაუგზავნეს პეტიცია ჩინეთის მმართველს და ეხლა კიდევ გაუმეორეს. ახალგაზრდა ჩინელები გულის-ფანცქალით ელოდნენ კონსტიტუციის გამოცხადებას. ამასთან გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ თუ გაამართლა მოლოდინი და ხალხის სურვილი დააკმაყოფილა— პრინცებს ქანდაკებას დაუდგამთო.

ივნისის შუა რიცხვებში, მართლაც, გამოვიდა ბრძანება, სადაც გამოცხადებულია, რომ მთავრობა არას გზით არ გადაუხვევს ქვრივ დედოფლის ცეზის მიერ შემუშავებულ პროგრამას. კონსტიტუცია უნდა შემოღებულ იქმნას

— რატომაც არა,

— მაშ გავგზავნოთ!

ქალი კარში გავიდა რაღაც ფუჩუნი შეიქმნა და შემოსულმა მახარა: ეხლავ მოიტანენო.

ქალმა ისევ გაავსო ჭიქები, წყნარად მიაწოდა ჩემსას თავისი ჭიქა და დალია. მე მოვსვი.

— ეს წერილები სადაურია?—დავეკითხე ქალს?

— ჰმ,—გაიცინა ქალმა...—მაგ ტილმა წერილებმა დაღუპა სრულიად საწყალი ლაზარე. ფოსტაში რომ იყო ყოველ საეჭვო წერილს ჯიბეში ჩაიდებდა საცოდავი... აქაო და ჟანდარმებს არ მოხვდეს ხელში: მართალია ხშირად სცდებოდა და სასაცილო წერილები მოჰქონდა სახლში მაგრამ თვითონ უთქვამს ერთი ათი თორმეტი კაცი მაინც მყავს გადარჩენილიო... საცოდავი უკანასკნელ დღემდე, თვითსაჭყარი და გაჭირვებული უბედურთა მფარველობას ჩემობდა. ორ გროშს იშოვიდა გადაწერით, თუ თხოვნის დაწერით და ამასაც, იცით, მე მაძლევდა. ქალმა დაღუნა თავი და ორიოდე ცრემლი გადმოვარდა თვალიდან. ამ დროს იმაზე უფრო უხერხულ მდგომარეობაში მე ვიყავი... ნელ-ნელა ვიღებდი ჭიქას და ცოტა ცოტას, მოვსვამდი კონიაკს. ქალიც ეხლა უსიტყვოდ წვეთ-წვეთად სვამდა სასმელს. ასე უცქეროდით ერთმანეთს. დედაბერი შემოვიდა და შემოიტანა საუზმე: დოში, ყველი, ნახევარი ქათამი და მწვანილი.

ღვინო არ მოგვიტანიათ? დავეკითხე დედაბერს, რომ რაიმე მეთქვა და სიჩუმე დამერღვია... არა ფული რომ არ მოუციათ. უმეხად მიპასუხა შავი თავსაფრიანმა პირაკრულმა ქალმა. აბა, თქვენ იცით, ღვინო მოიტანეთ და რაც დარჩეს თქვენა გქონდეთ... მივუგე დედაკაცს... კონიაკით გათამამებულმა.

კონიაკს ღვინო მოჰყვა. სიჩუმე ძვირად ირღვეოდა.

რაც მოხდა, მოხდა — მინდოდა მენუგეშებინა ქალი, რომელსაც თავი ნიდაყვზე დაეყრდნო და გაშეშებული იყურებოდა.—ცხოვრება არავისთვის არაა სიამოვნება: ზოგი ეგრე იტანჯება და ზოგიც იგრე. ჩემივე სიტყვების უაზრობისა შემრცხვა და რომ შთაბეჭდილება მეკეთებინა ხელი ხელში მოვკიდე. დამშვიდდით და ჭიქა მის ჭიქას მივახალე. ქალს ხელი არ გაუწევია. პირიქით მან დაიჭირა ხელი და წყნარად მითხრა: ეს მართალი მწუხარება არაფერია, მაგრამ სირცხვილი, სირცხვილი იცით რა არის! სხვა ქალი რომ იყოს თქვენს გვერდში ეხლა სიყვარულს აღგიძრავდათ, მე კი თქვენთვის მწვიმიანი მურტალი ქმნილება ვარ.

ჩვენ უკვე მთვრალები ვიყავით. თითქოს დასამტკიცებლად ჩემის პატივისცემისა ქალი ჩემკენ მივიზიდე და ვთხოვე, წავიდეთ სადაც გინდა—მეთქი, თუ გსურს ჩემს სახლში. შენში არაფერი სასასირცხო არ არის!

— ჰმ, გაიცინა ქალმა... ეს მოხდა დიდი ხანია მას აქეთ... არა, არ წამოვალ... თუ გინდა აქ ვიქეიფოთ მეც ხალისიანად დავეთანხმე: მაშ, ვიქეიფოთ!

ოთახში ყველაფერი აირია. საიდგანაც გაჩნდა არღანი. შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ჭიქები, ბოთლები, ვიღაც თავ-ქოჩორა პოლიციის მოხელე ჩოხიან თავადს დაჟინებით ეუბნებოდა: კნიაზო, პოლიციას რაც შეეხება—ჩემი იმედი გქონდეს—საციმბიროც რომ იყო, სახლში მიგიყვან უმანკო მანდილოსანსვე. ჯიბიდან რაღაცა ამომქონდა და ხან ისევ მაძლევდნენ რასაც იატაკზე ვყრიდი. ლოყებ გალესილი მეარღნე იღუნებოდა და მადლობით მეუბნებოდა: თქვენი კომპანიის გამარჯვება იყოს! მუხლზე უნდოდა დამჯდომოდა, ფეხები გამოვაცალე და რაღაცა მრგვალი სიცილით გადატრიალდა იატაკზე. მაგრამ იქვე—საიდან გაჩნდა? წამოხტა სათვალებიანი ქმნილება და დაიწყო ქაჩვა. თავადი ვიღასაც ყელში სწვდა. მერმე ყველაფერი დაცარიელდა. მე ლოგინზე დავჯექი, ახალუხის ღილები დავუწყვიტე, წაღები გადავისროლე...... ოთახის კუთხეებიდან ქანქებმა ამოჰყვეს მაიმუნისებური პატარა სახეები და ხელები და დაიწყეს [illegible]ცილი ...... ლოგინზე გვითხლარ[illegible]...... გულწრფელ სიყვარულს ბინძური ლაფი დავასხით.

მზემ შიგ თვალებში დამაცხუნა, გამეღვიძა. გულზე ლოდი მაწვა თუთუნის კვამლი, საჭმლების ოხშივარი, დაქცეული ღვინო და ლო[illegible]სუნი, მტვერი ერთმანეთში საჯოჯოხეთოდ არეულიყო. ჩუმად [illegible]. ფანჯარა გავაღე.

ეგ კაი ქენი—დამიძახა ქალმა ლოგინიდან. საჩქაროდ ჩავიცვი, ავიღე წერილები, ნაწერები კარგათ შევკა[illegible] და კარებს გაღება დავუწყე, —წამოსვლას ვაპირებდი. მიიპარები? დაცინვით უძრავათ მწოლი დამეკითხა ქალ[illegible]

ა, უკაცრავად! არ იფიქროთ, დამავიწყდა. მივედი და თავქვეშ ამოვუდევი ქაღალდის ფული.—აი აქ არის.

კარებთან ისევ შევბრუნდი. შეიძლება წავიღო!

ქალმა არ გამათავებინა კითხვა. ინებეთ რაც გნებოთ.....

მე ლაზარეს ნაწერებზე და წერილებზე გეუბნები...

ჰო, ჰო, წაიღე მოიხმარე როგორც გინდოდეს. მაშ მშვიდობით. ოღონდ ნუ იფიქრებ რომ გაპარვა მდომოდეს. მხოლოდ არ მინდოდა გამეღვიძებინეთ. მანდ არის სასთუმალს ქვეშ.

ჰო, კარგი გეყოფა ამდენი ბოდიში და ლაპარაკი, ერთი დამძინე. ჩვენისთანა პირუტყვებში გაგონილა ამდენი სინაზე.

შენიშვნა პირველი.

სიკო შეჩერდა. მე დაინტერესებული ვიყავი.

. მერე?—დავეკითხე სიკოს, ესაა და ეს იქიდან პირდაპირ შევედი. ავიღე ქაღალდები და გადათვალიერება დავუწყე.

კარგა ხანმა გასტანა.

სიკო ადგა.—ნახვამდის

— ნახვამდის.

— მაშ შენ იცი, როგორ შეასწორებ ხელთნაწერებს და ისარგებლებ ჩემის ნაამბობით.—შესწორების რა მოგახსენო და შენს ნაამბობს კი სიტყვა სიტყვით სრულიად უცვლელად დავბეჭდავ დავპირდი დარცხვენილ ამხანაგს.

და პირველი უკვე ავასრულე.

ამ ნაირად განსვენებულის ავლადიდება ხელში ჩამივარდა. იმედი მაქვს საზოგადოებას მივაწოდო, როგორც მისი ცხოვრების დაწვრილებითი აღწერა, ისე თვით ოლიური ბ. კვიხაშვილისა და მისგან შეგროვილი წერილები. დღეს დღეობით კი ერთ პატარა რვეულში, ჩქარის ხელით უფრო ნაწერს, ვიდრე გადაწერილს, სურათებს, ლექსებს პროზათ მოგართმევთ.

უნდა შევნიშნო, რომ ნაწერები რამდენიმე სხვა და სხვა ხელით არის დაწერილი. ვისია ეს ნაწერები. ვინ არიან უცნობი ავტორები დანამდვილებით კი არა, დაახლოვებითაც შეუძლებელია, ითქვას. მხოლოდ გამოვთქვამ საერთო მოსაზრებას, რომ ხშირად. ერთი და იგივე ადამიანი სულ სხვა და სხვა ხელით სწერს, რადგან სხვა და სხვა სულის მოძრაობასაც, სხვა და სხვა ხასიათს იჩენენ თავს სხვა და სხვა დროს. ამიტომაც შეიძლება ყველა ნაწერები თვითონ განსვენებულ კვიხაშვილის ეკუთვნოდეს. შეიძლება კვიხაშვილში რამდენიმ ერთი მეორისაგან სრულიად გარჩეული ხასიათები იყო ჩამალული და, რომელიც იჩენდა თავს წერის დროსა, მისი იყო ის ხელიც. შეიძლება, ამიტომაც ბ. კვიხაშვილმა თავისი ავტორობა არ გამოაჩინა, რათა არ ეჩვენებინა მკითხველებისათვის რამდენად ცვალებადი იყო მისი ხასიათი, რამდენად სუსტი, უძლური იყო ხანდახან და რამდენად დიდს სულსა და ძალას იჩემებდა ხანდახან ერთის სიტყვით არ უნდოდა გაეგებინებინა თავისი **„mania qrandiosa“** და თავის დამცირება.

კვიხაშვილის რვეულიდან.

რამდენიმე წელიწადი რედაქციის შავ-მუშათ ვიყავი. შავ მუშათვე დავრჩები უსათუოდ, რადგან გულის ნადები ნაღველი კალამს ახმება, წყეულს!... მაგიერათ სულლი პრიუდომის არ იყოს: თუ მე არა ვარ პირველი მაინც მე ვსცემ თაყვანს ჩემის პოემების უცნობ მომღერალს. წერით კი ვწერდი.

როცა ჩვენი გაზეთის თანამშრომლები გაიბუტებოდნენ, ავად ხდებოდნენ, თუ დაითვრებოდნენ, და ძილს ვერ შესწყვეტდნენ, მე უნდა ამეღო კალამი და მეწერა, მეწერა გონების დაკარგვამდის, თვალების დაბრუცებამდის. და რაზე არ ვწერდი? კანტის კატეგორიული იმპერატივი, ჩინეთ-იაპონიის შეტაკება, ნანსენის მოგზაურობა, ადდა ნეგრის პოეზია—ყველაფერი მასალა იყო ჩემის წერილების!

რა არ უნდა წამეკითხა?

თუ გახსოვთ ლიხუნჩანგის ოპერის გამო წერილი, მიუნხენის, როგორც ულამაზესი ტბის აღწერა, თუ მოგაგონდებათ ბულანჟეს ქართველი ქალის შვილათ დასახვა—ყველა ჩვენს თანამშრომლებს ეკუთვნის. მივიტანდი ასეთს წერილს ჩვენს რედაქტორს, მოვახსენებდი დასაბეჭდათ არ ვარგათქო; პასუხით კი მესმოდა: ვისია? თუ ვისმე ცნობილი ადამიანს დაუსახელებდი, თუნდაც ცნობილი პირი კარგი მეჩქმე ყოფილიყოს, მიბრძანებდა, დაბეჭდეო, და მეც რა გზა მქონდა—ვგზავნიდი სტამბაში.

მაგიერათ ზოგჯერ საშინელი ახირება იცოდა ჩვენმა რედაქტორმა; დაიჟინებდა ვერ დავბეჭდავთ და— გათავდა: რჩევა, მტკიცება, მუდარაც კი არა სჭრიდა.

ნ. ლორთქიფანიძე,

(შემდეგი იქნება)

ამ ცხრა წლის შემდეგაო: „ქების ღირსია, რომ თქვენ ასე ისწრაფვით პროგრესისაკენ, მიმართავს ჩინეთის მმართველი ხალხს, არ შეიძლება არ დავაფასოთ თქვენი პატრიოტიზმი, ენერგია და შრომა. დღევანდელი პირობები გვავალებს, რომ სიფრთხილით მოვიქცეთ, 9 წლის შემდეგ გამოცხადდება კონსტიტუცია და ჩინეთი საკონსტიტუციო სახელმწიფოთა რიცხვში ჩაეწერება. ჩვენ იმედი გვაქვს დაგეხმარებით. ჩვენი სურვილი უკეთ იცით თქვენ“.

საერთა-შორისო სოციალისტური კონგრესი.

ამ წლის აგვისტოში კოპენჰაგენში შეიკრიბება საერთა-შორისო სოციალისტური კონგრესი, რომლის პროგრამა შემდეგია: დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირებსა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა შორის, უმუშევრობასთან ბრძოლა, საერთა-შორისო სამედიატორო სასამართლო და იარაღის აყრა, რა მოგვიპოვა მუშათა კანონმდებლობამ, საერთა-შორისო მანიფესტაციის გამართვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საშუალება საერთა-შორისო კონგრესების დადგენილებათა დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გასატარებლად, საერთა-შორისო სოლიდარობის ორგანიზაცია.

სამხედრო გემები კრიტეში.

მფარველმა სახელმწიფოებმა შეატყობინეს ოსმალეთის მთავრობას, რომ რადგან კრიტეზე საბოლოოდ არ მისპობილა მღელვარება—სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ აქვთ ორ-ორი გემი დასტოვონ კრიტეზე. ამ ჟამად კრიტეში არის ორი იტალიის ჯავშნიანი კრეისერი, ორი საფრანგეთისა, ორი ინგლისისა „დონა“ და „მინერვა“ და ორი რუსეთისა „ხივინეცი“ და „ბოგატირი“.

სუფრაჟისტკების ბელადი ქ-ნი პანკჰერსტი.

„ნეუ ფრეი პრესე“ში დაიბეჭდა წერილი ინგლისელ სუფრაჟისტკების ხელმძღვანელის ქ-ნ პანკჰერსტისა, სადაც ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ეს მეექვსეთ იქმნა შეტანილი პალატაში კანონ-პროექტი ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ, მაგრამ ეხლა, ეტყობა, დიდი კვალი დაუჩნევია ქალთა მოძრაობას. თუმცა მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს და კანონ პროექტი გადასცეს არა „დიდ კომიტეტს“ არამედ „სრულიად პალატის კომისიას“, მაგრამ კანონ-პროექტი ადრე თუ გვიან კანონად იქცევა. პალატა წელს ერთი თვით გვიან შეიკრიბება, ვიდრე ჩვეულებრივად იკრიბებოდა, მაგრამ მდგომარეობა ისეთია, რომ „ასკვიტი იძულებული იქნება დაგვითმოს“ და საჭირო დრო გადასდოს კანონ-პროექტის განსახილველად. ესეც რომ არ იყოს, ქალთა მოძრაობის მომხრენი ყოველ საშუალებით ისარგებლებენ და აიძულებენ წლის გასვლამდე განხილულ იქნას კანონ-პროექტი. უკვე შეუდექით საგიტაციო კომპანიას, პარლამენტის წევრებზე ყოველ ნაირად ვმოქმედობთ. ინგლისის ყველა ადგილებში მიტინგები იმართება. 23 ივლისში ლონდონში გაიდ-პარკში გაიმართება დიდი კრება. ქალაქის ყველა ადგილებიდან გამართებიან მანიფესტანტები ორ წყებად და გაიდ-პარკში შეერთდებიან. ორმოცი ტრიბუნა იქნება გამართული, ილაპარაკებენ და წაიკითხავენ ერთსა და იმავე შინაარსის რეზოლუციებს, რომლითაც მოუწოდებენ მთავრობას სამართლიანობის სახელით ხელი შეუწყოს და კანონ-პროექტი კანონად აქციოს.

მღელვარება ოსმალეთში.

სტამბოლში სამხედრო სასამართლოებმა დაჰკითხეს და ჩვენება ჩამოართვეს 500 კაცს, ჩვენების მიხედვით აპატიმრებენ ხალხს. ფიქრობენ, რომ მცირე აზიის სარევოლიუციო კომიტეტი იმყოფება ბრუსაში. სტამბოლში დარწმუნებულნი არიან, რომ ალბანელთა აჯანყება ამ შეთქმულებამ მოახდინა. ოსმალეთის მთავრობა ფიქრობს, რომ აჯანყებას მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ დეცენტრალისტები და ზომიერ-ლიბერალურ პარტიის ხელმძღვანელნი, გამომძიებელი ცდილობს დაამტკიცოს რომ საზღვარგარეთულ შეთქმულებთან ერთად პალატის ოპოზიციის 50 დეპუტატი იღებდა მონაწილეობას. ფიქრობენ, რომ ოპოზიციის დასამშვიდებლად მთავრობა შეაჩერებს რეპრესიებს. იგზაიდ ჟურნალ-ბის განცხადებით ოპოზიციის მთავარი მოთხოვნილება ისაა, რომ გაუქმებულ იქნას საალყო წესი, რომელიც მტარვალობის თავი და ბოლოა.

ხმა გავრცელდა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა აბდულ-ჰამიდის ქალი შადიე.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი და საბერძნეთის საქონლის ბოიკოტი.

სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ რუსეთის გაზეთებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა ადგილობრივ მმართველს, ზომები მიიღეთ საბერძნეთის საქონლის ბოიკოტის წინააღმდეგაო. მმართველმა მიმართა ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს და შეატყობინა მინისტრის თხოვნა. კომიტეტმა გადაჭრით განაცხადა, ბოიკოტი არ მოისპობა, სანამ კრიტე ფაქტიურად არ დაუბრუნდება ოსმალეთსაო.

თეატრი და ხელოვნება

სალიტერატურო საღამო დ. სურამში. ჩვენ რომ ტფილისიდან მივემგზავრებოდით 11 ივლისისათვის დ. სურამში განზრახულ სალიტერატურო საღამოზედ, უმალ ის ფიქრი გვაღონებდა, რომ ჩვენი საზოგადოება იქაც, იმგვარისავე ბოროტი გულგრილობით, ზურგს შეაქცევდა ამ აზრიანს და სასარგებლო განზრახვას, როგორც ეს მოხდა ტფილისში გასული თვის 19, როცა, საზოგადოების დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა ასეთივე საღამო. ჩვენი საზოგადოების გულგრილობა არც იმდენად გასაკვირველი და მოულოდნელია: ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ხანაში, როცა ადამიანის ამაყი სულის მისწრაფების ბაზარი დაეცა, როცა სულიერი ძალის მაგიერ, გამეფებულია ფიზიკური, და იმედ გაცრუებულს, ენერგიის მოკლებულს და მთლად მოდუნებულს ჩვენებურ ინტელიგენტს ეხლა იმდენად არამც თუ აღარ იზიდავს სულიერი საზრდო, პირიქით, ამგვარ საღამოებზედ დიდ „სკუჩნობას“ განიცდის და კაფე-შანტანებში, პროექტორებში და ჭიდაობაში ერთობა. იმას ერთი საღამო გატარებული თუნდა გორგიჯანოვის ბაღში, ურჩევნია, არამც თუ „რაღაც“ სალიტერატურო საღამოს, თუ გნებავთ, მთელ თქვენ ლიტერატურასაც. ამიტომვე საბუთი ჰქონდა ერთ ოხუნჯს შეენიშნა ტფილისში ჩაშლილ საღამოს გამგესათვის, რომ თუ იმას სურდა საღამოზედ ჩვენი საზოგადოება მიეზიდა, საღამოს პროგრამაში უნდა აღენიშნა ერთი ნომერიც არის ჭიდაობისაო, ისრე როგორც პრაქტიკულად მოიქცნენ მის წინად პეტერბურგელ სტუდენტების სასარგებლოდ გამართულ საღამოს გამგენიო...

კარგი რომ ჩვენი შიში სავსებით არ გამართლდა და სურამის საღამოს ხალხი საკმაოდ დეესწრო.

ვიდრე საღამოს დაფასებას შეუდგებოდეთ, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომელნიც დაჰპირდნენ საღამოში მონაწილეობის მიღებას, მთელი ერთი კვირის გამომავლობაში თავიანთი გვარები აბეჭდინეს გაზეთების განცხადებებში და საღამოს კი არც კი დაესწრნენ, რითაც საღამოს გამგენი ჩააყენეს მეტად უხერხულ მდგომარეობაში. რეკლამა (გაზეთების განცხადებებში სახელების დაბეჭვდით) კარგი რამაა, მაგრამ მარტო ცალიერი რეკლამა უფრო შეეფერება ვაჭარს, ვიდრე იმას, ვისაც წმინდა ხელოვნების ქურუმად მოაქვს თავი... ჩვენ ვიცით, რომ პატივცემული მწერალი ბ. ი. ნაკაშიძე ავათმყოფობის გამო არ დაესწრო, მაგრამ ნეტავი რა გამამართლებელი საბუთი ჰქონდათ დანარჩენებს?!...

საღამო დაიწყო და უნდა ვსთქვათ მეტად გვიან (ღამის ათი საათის შემდეგ) რ. ერისთავის ცნობილ ორ-მოქმედებიან მხიარულ კომედიით „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ რომელმაც საკმაოდ მწყობრად ჩაიარა. არა ჩვეულებრივად კარგი იყო თვით რეჟისორი და უმთავრეს როლის (ოსეფას) ამსრულებელი ბ. ზ. საფაროვი, მაგრამ ადგილ-ადგილ მაინც ჭარბებდა. იმას ღირსეულად მხარს უჭერდა ქ-ნი ნებიერიძისა (ელისაბედი) და დანარჩენი მონაწილენიც მაინცა და მაინც არ ახდენდნენ საერთო შთაბეჭდილებას.

მაგრამ ჩვენთვის და მრავალ იქ დამსწრეთათვის უფრო საინტერესო იყო მეორე, სალიტერატურო, განყოფილება, როცა ჩვენ ახალგაზრდა მწერლებს უნდა წეკითხათ თავიანთი ახალი ნაწარმოები.

მეორე განყოფილება დაიწყო ბ. ი. ეკალაძის გამოსვლით, რომელმაც ზეპირად წაიკითხა თავისი ლექსი: „შვილი მუშა ბოქულაძისა“. ი. ეკალაძის ბოქულაძე სულ სხვა გვარ თვალ-საზრისით უყურებს სოციალურ და საზოგადოებრივ ურთიერთ განწყობილებას, ვიდრე ეს წარმოდგენილი ჰქონდა მის მშობელს—მუშა-ბოქულაძეს ილ. ჭავჭავაძისას.

ის რიხი და პათოსი, რომლითაც კითხულობდა ი. ეკალაძე, აძლიერებდა შთაბეჭდილებას მისს ლამაზ და შინაარსიან ლექსისას.

მეორედ გამოვიდა ბ. მოუსვენარიძე, მაგრამ ის რომ თავის მოთხრობას კითხულობდა, ღრიანცელი იდგა გარედ პარკში, თეატრის გარშემო (მუსიკის დაკვრაც მაშინ მოუნდათ), და ყველა ამან ხელი შეუშალა კაცს მოთხრობიდან რამე შთაბეჭდილება გამოეტანა. შინაარსიანი და მწყობრი იყო ბ. ნ. ჩხიკვაძის ლექსი: „ღმერთების ბრძოლა“.

დაკვირვებით და ნიჭიერად დაწერილმა მონოლოგმა „შეშლილიდან“ ტრ. რამიშვილისამ, ის შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რის ღირსიც იყო და ეს აიხსნება შემდეგის მიზეზებით: 1. ქუჩაში მოსიარულე მუსიკოსთა მიერ დაკრული რაღაც უცნაური მელოდია სულ არ შეეფერებოდა მონოლოგის შინაარს; 2. თვით ავტორი ბ. რამიშვილი მეტად ჩქარობდა და აგრეთვე ბევრს ქართულ სიტყვებს და წინადადებებს რაღაც რუსული კილოთი (აქცენტით) გამოსთქვამდა და 3. საჭირო იყო აგრეთვე სულიერად ავადმყოფისათვის თავის შესაფერი მიხვრა-მოხვრა და მიმიკა, რაიც ბ. რამიშვილს აკლდა.

ბ. დ. კასრაძემ თავისი ლამაზი ფორმით და აზრიანი შინაარსით ლექსი თვითვე წაახდინა ცუდი წაკითხვით.

ბ. პართენაშვილის მიერ წაკითხული ნაწარმოები „დედა“, უფრო მსმენელთათვის მოსაწყენი, მისივე ავტობიოგრაფია იყო, ვიდრე მოთხრობა და მე რომ ბ. პართენაშვილის ადგილას ვყოფილიყავ, იმ მოთხრობას შევინახამდი და ანდერძათ დავტოვებდი, ივი ჩემს სიკვდილის შემდეგ გამოექვეყნებინათ და ვფიქრობ, მაშინ მეტი ფასი და მნიშვნელობაც ექნებოდა.

ქ-ნ ნ. გიგაურის მიერ წაკითხულ ლექსს თუ რამ ღირსება ჰქონდა, ამ ღირსებამ უფრო იმატა გაბედვით და შნოიანათ წაკითხვისაგან ქ. ავტორის მიერ.

ბ. ირეთელი ანგარიშში მოსტყუვდა: იმან პირველად წაიკითხა თავისი, შედარებით ნაკლების ღირსების მოთხრობა და მეორე, უკეთესი, რომელშიაც ჯეროვანის ხელოვნებით და სარკაზმით იყო გაკიცხული მოქთახორული და ფუქსავატურული ცხოვრება ბევრს ჩვენი დროის ქონებრივად შეძლებულ და ზნეობრივად გარეცხილ პირთა,—შეინახა სათადარიგო („ზაპასათ“) ბოლოსთვის, როცა საზოგადოებას უკვე მოსწყინდა იმდენ მოთხრობების მოსმენა, და ამიტომაც, როცა ბ. ირეთელი თავის მეორე მოთხრობას კითხულობდა, თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

ბ. ნარ-კანმა თავის ნიჭიერად დაწერილ მოთხრობაში: „ნეტამც მომკვდარიყო“!.. ერთი კუნჭული ახადა იმ საშინელს, შავ ფარდას, რომელიც ჰფარავს რეაქციონერთა-მიერ 1905 წ. ოქტომბერში ჩადენილ საზიზღარს და შემაძრწუნებელ მოქმედებას.. ბ. ნარ-კანივე იყო მოწესრიგეთ. სალიტერატურო განყოფილების და თვის მოთხრობის წაკითხვის წინედ ამცნო საზოგადოებას: **ბატონი** ნარ-კანი წაიკითხავს „მოთხრობასო“. ამგვარ განცხადებამ საბუთი მისცა ზოგიერთ დამსწრეთ ეოხუნჯათ, რომ „დიდი ვერაფერი ბატონი გყოლიათ ნარ-კანიო“....

თვით საღამოზედ უწესოება ემჩნეოდა. განსაკუთრებით ხელს უშლიდა ის ღრიანცელი, რომელიც იყო თეატრის გარედ, პარკში.

ვიდრე ამ, უამისოდაც გაჭიანურებულ ზერელე რეცენზიას გავათავებდეთ, ერთი რამ გვინდა ვიკითხოთ: სურამულ თეატრის სცენის ფარდაზედ ერთი უშველებელი ვირია დახატული, რომელზედაც შეუსვამთ ვიღაც (მგონი სურამელი) და ვირის ყურები ხელში მიუციათ. ნეტავი გვაცოდინა რომელი მხატვრის შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია ეს „მხატვრული ნაწარმოები“ და ან თუ რას ნიშნავს ეს „სიმბოლო?“. საჭიროა ამის ცოდნა, რომ ჩამომავლობასაც არ დაეკარგოს სახელი ამ დიდებულ ტვინის ღიტინის,.... უკაცრავად ნაწარმოების ავტორისა....

გ. ახალციხელი.

ლექციები ქუთაისში. იყო დრო ლექცია და ლექტორები ქუთაისში სოკოსავით ჩნდებოდენ და მრავლდებოდნენ.

ამ ბოლო დროს-კი ისეთი სიქესატე ჩამოვარდა რომ მოსალოდნელ სასტიკ სტუმრის ხოლერის შესახებ, შედარებით ადვილი საუბარი ხალხთან ველარ მოუხერხებიათ.

დარჩა თითქმის ერთად ერთი ლექტორი ექიმი ხუნდაძე რომელიც მუდამ თავის ფრიად შესანიშნავ ლექციებს რუსულად კითხულობს, რაც უტყუარი ნიშანი უნდა იყოს მისი მაღალნიჭიერ განვითარებლობისა.

მაგრამ ერთი საჯაყი საქმე სჯობს მუდამ ამ ლექტორის ლექციებს. მის ლექციებს—თუ ფასიანია—სულ არავინ ეკარება სიახლოვეს, და თუ უფასო, როგორც ეს კვირას, 11 ივლისს იყო, ხოლერის შესახებ, საჭიროა თეატრის კარებთან ყარაული დააყენო რომ გამვლელ გამომვლელს „пожалуэте на безплатную лекцію“ს უქაქანებდეს, მაგრამ ამგზობისათ ვერც ამ ხერხს გასჭრა და ლექციას ხალხი ძლიერ თხლად დაესწრო.

მეტად ცუდად აფასებენ ჩვენში განათლებულ მამულიშვილთა ღვაწლსა და ცოდნას.

ჩვენ-კი ვურჩევდით ექიმ ხუნდაძეს თავისი ბრწყინვალე ლექციების კათედრა ნიჟნი-ნოვგოროდში გადეტანა, რადგანაცა გვწყინს როდესაც სანთელი ისე იწვის რომ გარშემო წყვდიადს არა ჰფანტავს

ჯაფარ-ფაშა,

რუსეთი

◆ **გადასახლებულთა გაქცევა.** საპატიმროთა მთავარ სამმართველოს ცნობით მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში 18 შემთხვევა ყოფილა გადასახლებულთა გაქცევისა. გაქცეულთა შორის სამი მე-2 სახელმწიფო სათათბიროს წევრია, რომელნიც გადასახლებულნი იყვნენ სოც.-დემ. ორგანიზაციის საქმის გამო.

◆ **კავშირი და „ხელოვნება“.** ეკატერინოსლავში, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ლიტერატურ-ს გამოფენაზე პავილიონში გამოჰკიდეს მილიუკოვისა და ლ. ტოლსტოის ხის ქანდაკებები, რომლებიც საჩრჩობელაზე თოკებით იყვნენ ჩამოკიდებულნი. გამგეობამ მოითხოვა და ქანდაკებები ჩამოხსნეს.

◆ **ცოლის მოკვლა.** დონის როსტოვში „სიმენის და ვალსკეს“ ფირმის განყოფილების ინჟინერმა გორსმა კაფე-შანტანიდან დაბრუნების შემდეგ სიმთვრალის დროს თავისი ცოლი მოჰკლა მძინარე და შემდეგ თითონაც მოიკლა თავი.

◆ **კავშირის შიში.** ექიმი დუბროვინი მეტად უკმაყოფილოა რუსის ხალხის კავშირის მთავარ საბჭოზე. როგორ გაბედეს და თავმჯდომარედ არ ამამირჩიესო. თავის ერთგულ მომხრეებს დუბროვინმა „შინაურულად“ უთხრა, თუ გამარჯვება მე არ დამრჩა, რუსის ხალხის კავშირი მოსპობს თავის არსებობას და იმის ნანგრევებზე შევქმნი მონარქიულ ორგანიზაციასაო. დუბროვინის ერთგული თანამშრომელნი ეხლა მოწინააღმდეგე ბანაკში მოჰყვნენ, გარდა პოლოვნიოვისა (საშკა კალოი) რომელთანაც იუშკევიჩ-კრასკოვსკის მოლაპარაკება აქვს გამართული მთავარ საბჭოში გადასვლის შესახებ. უკმაყოფილება დუბროვინის თანამშრომელთა და მთავარ საბჭოს შორის ძალიან გამწვავდა. პროვინციალურ განყოფილებებში დუბროვინცები ხშირად მუშტით უსწორდებიან მთავარ საბჭოს სარევიზიოდ გამოგზავნილ რწმუნებულებს.

წერილი რედ. მიმართ

ქალბატონო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ მოწოდებას:

პარიზის ქართველ საზოგადოების გამგეობა მიმართავს თხოვნით საქართველოს ყველა წიგნის გამომცემლებს და ავტორებს უსასყიდლოდ დაგვითმონ თავიანთი გამოცემები პარიზში არსებულის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკისას, რომელიც ერთობ ღარიბია. ამასთან პარიზის ქართული საზოგადოება ყველ გვარ ქონებრივ დახმარებას წიგნეთ თუ ფულით დიდის მადლობით მიიღებს შემდეგ ადრესით: Paris, 9 rue Bthollet 9 M.-r. Djanélidzé.

პარიზის ქართველ საზოგადოების
გამგეობა

ქალბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ როგორც გორის ეგრედ წოდებულ სახალხო თეატრის გამგეს ორიოდე სიტყვით ვუპასუხო კორესპონდენციის ავტორს („სახალხო გაზეთი“ 10 წ. № 50) რომელმაც დასახელებულ თეატრში 4 ივლისს გამართულს წარმოდგენას უძღვნა რეცენზია. ავტორი აღნიშნავს ორს გარემოებას: უთანხმოებას წარმოდგენების მმართველ წრეში და მათ სუსტათ მოწყობას. მართალია, ერთი წევრი გავიდა წარმოდგენების მმართველ წრიდან და დროებით შეფერხდა თეატრის საქმის მოწესრიგება, ხოლო ამ ჟამად წრე ისევ მხნედ შეუდგა თავის დასახულს მიზანს—შეაჩვიოს ხალხი შინაარსიან პიესებს და ადგილების ხელმისაწვდომ ფასად და ძალღონის მიხედვით მიიზიდოს საზოგადოება კულტურულად დროს გასატარებისათვის. ამ მხრივ მმართველმა წრემ დიდი სამსახური გაუწია დაბალ საზოგადოებას და გამოაღვიძა მიძინებული თეატრის საქმის წარმოება. რაც შეეხება უკანასკნელს 4 ივლისის წარმოდგენას, იგი, რათქმა უნდა, არ შეედრება ტფილისის დასის თამაშობას და არც შესაძლებელია, სცენის მოყვარულნი უმწიკლოდ ასრულებდნენ თავიანთ როლს, მეტადრე როცა მოკლებულნი არიან გამოცდილს რეჟისორს. მაინც მადლობის მეტი არა ეთქმითრა იმ პირთ, რომელთაც შესწირეს დრო და მოცალეობა წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას.

გამგე ივანე **მაისურაძე.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—142)

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე კვირეების გარდა
დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასავი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინავი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. ავასროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

საღამოთი:

ქალ. ექ. ვ. ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. იევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. არციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საკურნალოს დირექტორი
მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

1 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

კატალოგი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. 50
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . 10
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10
10. გვარამაძე ივ. თამრო ჭარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. 20
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. ვ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ. 25
14. დუტუ-მეგრელი, წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. 70
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5
16. ვაჟა-ფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . 1 მ. 30
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. 20
19. იერეთელი ვ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . . [illegible]
20 მისივე კრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. 20
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск. 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. 3
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. 5
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. 20
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. 5

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 191 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელ მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბა შვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპ ლარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის 1. „დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავ —ზღაპარი ევალდისა; 2. „პარკნები“—ზღაპარი ევალდისა; 3. „თერმეტი და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატ რული ანბანი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მ ნეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა ხამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურ —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვ 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვ 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინ პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამა რცელებელ საზოგადოების მაღაზია თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

გამოვიდა და იყიდება: ტფილისში

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გაბილია აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებ წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომ დიები, მიძღვნილი ქართული თეატ მსახიობთავი მათის სურათებით: „ცოლ ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატ გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია“, დევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალ ტა“ ვასო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფ 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუ ალ. თუთაევი. (15—14

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.